ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
MARNEULI MUNICIPALITY CITY HALL

ბრძანება:**№32. 322312412**

თარიღი:**04/05/2023**

წარმომადგენლობითი ხარჯებიდან თანხის გამოყოფის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"–ს 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ე.ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯამრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის, სპორტის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფროსის 2023 წლის 03 მაისის #01-322312385 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.

ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.განხორციელდეს, მარნეულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის წარმომადგენლობითი ხარჯებიდან, მ/წლის 05 მაისს დაგეგმილი ახალგაზრდების ლაშქრობასთან დაკავშირებით, 35 ახალგაზრდისათვის საკვებით (ლანჩ ბოქსი) გამასპინძლების მიზნით, შესყიდვებთან დაკავშირებული შესაბამისი ღონისძიებები.
2.დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს წინამდებარე ბრძანების შესასრულებლად განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება მოქმედი კანონმდებლობით დადგენლი წესის შესაბამისად.
3.დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დაინტერესებული მხარისათვის ოფიციალური გაცნობა (ოფიციალურად გაცნობად ჩაითვალოს მხარისათვის წინამდებარე ბრძანების ელექტრონული ფორმით, საქმისწარმოების სისტემის საშუალებით მიწოდება).
4.კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.
5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბოლნისი, სულხან–საბას №113), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.
6. ბრძანება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.

კენან ომაროვი

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

3000, ქალაქი მარნეული, რუსთაველის ქუჩა N73, ტელ: (0357) 22 33 21, (0357) 22 43 54
N73 RUSTAVELI STR. MARNEULI, E-MAIL: MUNICIPALITETI@MARNEULI.GOV.GE